<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.01.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190020.04.001.016032)

1. 115-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,3. წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 200-ზე მეტი. ‘’

2. 143-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,3. წარდგენილ პარტიულ სიაში საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობის სამმაგ ოდენობას.

3. 158-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,2. თბილისის საკრებულოში პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების პარტიული სია არა უნდა აღემატებოდეს 100 კანდიდატს.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი